



სატელევიზიო არხების საარჩევნო მონიტორინგი

საინფორმაციო გამოშვებები

15-30 ივნისი 2014

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველომ განახორციელა მედიის მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი დაიწყო 15 აპრილს და დასრულდა 30 ივნისს. დაკვირვება ხდებოდა სალამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიასა და ტვპ-ზე. მოცემული ანგარიში მოიცავს 15-30 ივნისის მედიამონიტორინგის შედეგებს.

ამ პერიოდში ტელევიზიების სალამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- არხების უმეტესობაზე მომზადებული სიუჟეტები ანალიტიკური და ინფორმაციული იყო. მზადდებოდა კრიტიკული სიუჟეტებიც. თუმცა, არხებს შორის განსხვავებული იყო კრიტიკის ობიექტები. მაესტროსა და ტვპ-ზე კრიტიკული სიუჟეტები მზადდებოდა როგორც მთავრობის, ასევე ხელისუფლების წევრების მიმართ. რუსთავი 2-ზე კი შედარებით მეტად შეინიშნებოდა მთავრობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. კავკასიაზე გასული სიუჟეტები უმეტესად მშრალი და ფაქტების გადმოცემაზე ორიენტირებული იყო.
- არჩევნების დღე ყველა არხზე საკმაოდ ვრცლად და დეტალურად გაშუქდა. ნაჩვენები იყო არჩევნების მიმდინარეობა, პოლიტიკოსების მიერ ხმის მიცემა, ეგზიტპოლის შედეგები, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებები და ა.შ.
- თითქმის ყველა არხზე საკმაოდ დიდი დრო დაეთმო და დეტალურად გაშუქდა ასოცირების ხელშეკრულების თემა, ხელმოწერის პროცესი და შეფასებები.
- მონიტორინგის ამ პერიოდში არხების უმეტესობაზე საკმაოდ მაღალი დადებითი ტონის მაჩვენებელი დაუფიქსირდა პრემიერმინისტრს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მისი ინტერვიუებით და შეფასებებით. ასევე, არჩევნებთან დაკავშირებით მისი კომენტარებით.

- არჩევნების შემდეგ შედარებით იკლო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების გაშუქების დრომ ყველა არხზე ისევე, როგორც მათ მიმართ დაფიქსირებულმა დადებითი ტონის წილმა.

მონიტორინგის ამ პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მყოფ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები: არჩევნების გაყალბებაში დადანაშაულებული დავით ნარმანიას დედა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული ვიდეოები არჩევნების გაყალბების შესახებ, მანდატებისდა თანამდებობების გადანაწილება საკრებულოებში, სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტი, ირმა ნადირაშვილთან და ზურაბ ჯაფარიძესთან დაკავშირებული სკანდალი, პრემიები თბილისის საკრებულოში, ნატო-საქართველოს ურთიერთობა, ასოცირების ხელშეკრულება, განმეორებითი არჩევნები 14 ოლქში, დავით ნარმანიასა და ნიკა მელიას შესაძლო დებატები, გიგი უგულავას მიმართ ახალი ბრალდება, კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობა და სხვა.

შენიშვნა: არჩევნების დღეს გასული განსხვავებული ფორმატის, ხანგრძლივი საინფორმაციო გამოშვებების გამო 15 ივნისის რაოდენობრივი მონაცემები დიაგრამებზე მოცემული არ არის, რომ პერიოდის საერთო ტენდენცია არ დაირღვეს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

15-30 ივნისის ჩათვლით პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გარდა მნიშვნელოვანი მიმდინარე მოვლენებისა, დიდი აქცენტი არჩევნებსა და მის შედეგებზე კეთდებოდა. გამოშვებებში გასული სიუჟეტები უმეტესად ინფორმაციული და ანალიტიკური იყო და წარმოადგენდა განსხვავებულ მოსაზრებებს საკითხის გარშემო. ორიდღისგანმავლობაში(18 და 19 ივნისი) ვრცლად შუქდებოდასომხეთისპრეზიდენტისვიზიტისაქართველოში. გავიდა

ანალიტიკურისიუჟეტებისომხეთისსაბაჟოკავშირშიგაწვევრიანებასთან დაკავშირებით და ასევესაქართველოს მიერასოცირებისხელშეკრულების ხელმოწერაზე დაროგორაისახებავსაქართველოსდასომხეთისურთიერთობებზე. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდიყურადღებადაეთმოსოცირებისხელშეკრულებასდასაქართველოს ევროკავშირთანურთიერთობას.

ამთემასთანდაკავშირებითიყოვრცელიინტერვიუებიუცხოელდაქართველპოლიტიკოსებთან.მომზადდა ანალიტიკური სიუჟეტები, სადაცგანმარტებულიყო, თურასგულისხმობასოცირებისხელშეკრულება, რამოგებაშიძლება მიიღოსსაქართველომ, რავალდებულებებსიღებსსაქართველო, ევროკავშირისისტორია. მსგავსი სიუჟეტები აგრეთვე გავიდა ნატოსშესახებ.

საკმაოდ ვრცლად და ანალიტიკურად გაშუქდა საკრებულოს დეპუტატების და თავმჯდომარის პრემიების ამბავი (19 ივნისი). ნაჩვენები იყო შიხიაშვილისკომენტარი, კოალიციისადაუმცირესობისშეფასებები.

ასევე,საკრებულოსსხვადეპუტატებისგანსხვავებულიდამოკიდებულებადიდიპრემიებისმ იმართ.სიუჟეტი დაბალანსებულიიყო და საკმაოდ კრიტიკული.


არჩევნებისდღესდეტალურადგაშუქდასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობა, კეთდებოდაჩართვებისხვადასხვაპარტიებისოფისებიდან, როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური, აჩვენებდნენმათ კომენტარებსა და შეფასებებსარჩევნების პროცესისადაშედეგებისშესახებ. აგრეთვე, აჩვენეს,თუ

როგორმისცესხმაპარტიებისლიდერებმა. ნაჩვენები იყოსხვადასხვასაარჩევნოოლქები, სადაცგასაჩივრდაარჩევნებისშედეგები. ასევე,


თუსადმოხდადარღვევებიანდაპირისპირება. 16 ივნისის გამოშვებაც თითქმისმთლიანადარჩევნებზეიყო

ორიენტირებული.დეტალურადაჩვენეს,რომელრაიონშივიწინამდენიპროცენტიიყო, სადიეომოსალოდნელიმეორეტური და რა შეფასებები გააკეთეს პოლიტიკოსებმა. შედეგად არჩევნების დღის გაშუქება საკმაოდ დაბალანსებული იყო.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, 16-დან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო (33%). შემდეგ არიან ერთიანი ნაციონალურიმოძრაობა (24%) და კოალიცია ქართული ოცნება (19%). აღსანიშნავია, რომ პრემიერმინისტრს, რომელსაც ჯამში 27 წუთი დაეთმო, დადებითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი - 69% აქვს. პრეზიდენტს შედარებით ნაკლები დრო დაეთმო - 4%. თუმცა, ამ დროის 57 პროცენტი დადებითად გაშუქდა.



რაც შეეხება მერობის კანდიდატების გაშუქებას, არჩევნების შემდეგ მათ, წინა პერიოდთან შედარებით საკმაოდ მცირე დრო დაეთმოთ - სულ 12 წუთი. აქედან 6 წუთი დავით ნარმანიას ერგო, 3 წუთი - ნიკა მელიას. დანარჩენ კანდიდატებს თითო-თითო წუთი აქვთ. პირველ ორ ადგილას მყოფ კანდიდატებს დადებითი ტონის წილი საკმაოდ თანაბრად აქვთ განაწილებული: დავით ნარმანია - 33 პროცენტი, ნიკა მელია - 30 პროცენტი.



აჭარის ტელევიზია


15-დან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში აჭარის ტელევიზიის სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული თემები ძირითადად ობიექტურად შუქდებოდა. ჟურნალისტები არ ამჟღავნებდნენ ტენდენციურობას და ორიენტირებულნი იყვნენ უშუალოდ მომხდარი ფაქტის გადმოცემაზე. ეთერში გასული სიუჟეტები და სიუჟეტებში წარმოდგენილი სუბიექტები საერთო ჯამში დაბალანსებულად წარმოდგენდნენ მხარეების არგუმენტებსა და შეფასებებს.

ამ პერიოდში აქტიურად შუქდებოდა მეორე ტურის პერიპეტიები და ახალი მოწვევის საკრებულოებში მანდატების გადაწაწილება. რაც შეეხება არჩევნების დღეს, დეტალურად გაშუქდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით განვითარებული მოვლენები, არჩევნების მიმდინარეობა და მომხდარი დარღვევები. შეჯამდა წინა მოწვევის საკრებულოების მუშაობა და მიღებული გადაწყვეტილებები.

გაშუქებული დროის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ სოციალური თემატიკის სიუჟეტებს ეთმობოდა. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ჟურნალისტები მთელი კვირის განმავლობაში მიჰყვებოდნენ აქტუალური თემის განვითარებას და აწვდიდნენ სიახლეებს მაყურებლებს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მედეა ვასაძისა და ტელეკომპანია 25-ე არხის ჟურნალისტის, ჯაბა ანანიძის დაპირისპირება იყო, რომელიც აქტიურად შუქდებოდა აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში. საერთო ჯამში, სიუჟეტებში ეს ამბავი დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი, ნაჩვენები იყო საკმაოდ ბევრი წყარო და ჟურნალისტის მხრიდან არ იკვეთებოდა მიკერძოება. დიდი დრო დაეთმო, ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელის მოწერის თემასაც. მომზადდა ანალიტიკური სიუჟეტი, აგრეთვე ამ საკითხთან დაკავშირებით სტუდიაში მოიწვიეს ირაკლი სესიაშვილი.


რაც შეეხება სუბიექტებისათვის დათმობილ დროს, ყველაზე მეტად კოალიცია ქართული ოცნება (35%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (25%) გაშუქდა. მთლიანი დროის 15% მთავრობას დაეთმო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას კი - 8%. მონიტორინგის წინა პერიოდისგან განსხვავებით, 16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით მონაკვეთში შემცირდა წინასაარჩევნო თემატიკის შემცველი სიუჟეტების რაოდენობა, რაც აისახა დადებითი ტონის მაჩვენებლის შემცირებაზეც. დადებითი ტონი თითქმის თანაბარი იყო კოალიცია ქართული ოცნების (17%), მთავრობის (18%) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (18%) შემთხვევაში. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დადებითი ტონის მაჩვენებელი 13%-ს შეადგენს. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტებისთვის ის თანაბარია და 4-6%-ს შორის მერყეობს.

აჭარის ტელევიზიაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)
(16-30 ივნისი)



არჩევნების დასრულების შემდეგ შემცირდა მერობის კანდიდატების გაშუქებაც, რომლებსაც 16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში 8 წუთი დაეთმოთ. ყველაზე ხშირად გიორგი ერმაკოვი (49%) და გიორგი დიასამიძე (41%) გაშუქდნენ. დაახლოებით თანაბარია მათთვის დათმობილი დროის დადებითი ტონის წილი. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის მხოლოდ გიორგი ერმაკოვის შემთხვევაში დაფიქსირდა - 3%.

აჭარის ტელევიზიაზე მერობის კანდიდატებისათვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%) - ბათუმი
(16 ივნისი - 30 ივნისი)



რუსთავი 2

15-30 ივნისის ჩათვლით პერიოდში რუსთავი 2-ის საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები უმეტესად საარჩევნო თემატიკას ეთმობოდა. თუმცა, იყო რამდენიმე თემა, რომელიც საკმაოდ ვრცლად და ანალიტიკურად, რამდენიმე დღის განმავლობაში შუქდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, ასოცირების ხელშეკრულების თემა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიურად შუქდებოდა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში. 27 ივნისს პირდაპირ ეთერში გაუშვეს პრემიერის, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვით გამოსვლა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისადმი მიძღვნილ კონცერტზე. ამავე დღეს, კვირის თემაში, სტუმრად ჰყავდათ მიხეილ სააკაშვილი (პირდაპირი ჩართვით ამერიკიდან), რომელმაც ისაუბრა ასოცირების ხელშეკრულებაზე. აგრეთვე იყო ირაკლი ღარიბაშვილისა და მაია ფანჯიკიძის პირდაპირი ჩართვებიც.


საკმაოდ აქტიურად, რამდენიმე დღის განმავლობაში შუქდებოდა ჯაფარიძისა და ირმა ნადირაშვილის დაკავება აზერბაიჯანში. ამ თემასთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები საკმაოდ უარყოფითი იყო ხელისუფლების მიმართ. 20 ივნისს გადაცემაში სტუმრად იყო ირმა ნადირაშვილი და ეს თემა დეტალურად განიხილეს. ნადირაშვილი მომხდარ შიმთავრობას ადანაშაულებდა.

ზოგადად რუსთავი 2-ზე შენარჩუნდა ტენდენცია, რომ გასული სიუჟეტების და თემების უმეტესობა კრიტიკული ხასიათის იყო მთავრობის მიმართ. ასეთ კონტექსტში გაშუქდა არჩევნების თემაც. არჩევნებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სიუჟეტში მთავრობა და კოალიცია ქართული ოცნება უარყოფითად იყო წარმოჩენილი. სიუჟეტებში აქცენტი უმეტესად დარღვევებსა და არჩევნების გაყალბებაზე კეთდებოდა. აგრეთვე იმაზე, რომ მთავრობა ზეწოლას ახდენდა ცესკოზე. არჩევნებთან დაკავშირებით, მთავარი თემა ნარმანიასა და მელიას შორის შესაძლო მეორე ტურის გამართვა იყო.


ამ კონტექსტში გაშუქდა გიგი უგულავას საქმე და მისთვის ბრალის წაყენება. აგრეთვე მორატორიუმის დარღვევა, რომ არჩევნების მიმდინარეობის დროს მოხდა უგულავასთვის ბრალის წაყენება. იყვნენ წარმოდგენილი ექსპერტები, რომელთა საუბრიდანაც ხაზგასმით იკვეთებოდა, რომ ხელისუფლებამ მორატორიუმი დაარღვია.

რაც შეეხება სუბიექტების გაშუქების დროს, მათ 16-30 ივნისის ჩათვლით ჯამში 6 საათი და 23 წუთი დაეთმო. ამ დროის 39% ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ერგო. დათმობილი დროის მიხედვით მათ შემდეგ არიან კოალიცია ქართული ოცნება - 22% და მთავრობა - 20%. პრემიერმინისტრს შედარებით მცირე დრო - 8 პროცენტი დაეთმო. დანარჩენ სუბიექტებს 3 პროცენტი და ნაკლები ერგოთ. რაც შეეხება გაშუქების ტონს, ყველაზე მაღალი უარყოფითი

ტონის მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებასა და მთავრობას ჰქონდათ - 11 და 12 პროცენტი.



რაც შეეხება თბილისის მერობის კანდიდატებს, არჩევნების შემდეგ პერიოდში მათ ჯამში 21 წუთი დაეთმოთ. აქედან ყველაზე მეტი დრო კახა კუკავას ერგო - 7 წუთი, დავით ნარმანიას - 5 წუთი, ხოლო ნიკა მელიას - 3 წუთი. მელიას და ნარმანიას დადებითი გაშუქების თითქმის თანაბარი წილი აქვთ (12 დ 10 პროცენტი). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დავით ნარმანიას აქვს უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი წილი - 17 პროცენტი.



იმედი


15 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში იმედის საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებული და ობიექტური იყო. სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პოლიტიკური მხარის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის პოზიციები. სიუჟეტებისთვის დამახასიათებელი იყო ნეიტრალური ტონი და მიუკერძოებლობა რომელიმე მხარის მიმართ. მიმდინარე აქტუალური მოვლენების შესახებ მზადდებოდა ანალიტიკური და ინფორმაციული სიუჟეტები.

საკმაოდ დიდი დრო დაეთმო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების თემას. ამასთან დაკავშირებით მომზადდა რამდენიმე ანალიტიკური სიუჟეტი. ხელშეკრულების მოწერის დღეს, 27 ივნისს, მთავარი საინფორმაციო გამოშვების ეთერში მიწვეული იყვნენ ევროკავშირთან ურთიერთობის ექსპერტები. „ქრონიკის“ წამყვანების შეკითხვებს ევროკავშირთან ურთიერთობის შესახებ აგრეთვე უპასუხა პრემიერმინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.


არჩევნების დღეს აქტიურად გაშუქდა საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა, გამოცხადდა ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელი. დღის ბოლოს წარმოდგენილი იყო იმედის დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები. სადამოს საინფორმაციო გამოშვებებში კეთდებოდა ჩართვები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან და თბილისის მერობის კანდიდატებთან. პირდაპირი საუბრის საშუალება მიეცა თბილისის ყველა ძირითად მერობის კანდიდატს. არჩევნების შემდგომ პერიოდში დიდი დრო დაეთმო არჩევნების შედეგების განხილვას, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებებს, აგრეთვე არჩევნების პროცესში გამოვლენილ დარღვევებსა და უზუსტობებს, ზოგიერთ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში სავარაუდო მეორე ტურს.

რაც შეეხება სუბიექტების გაშუქებას, ყველაზე მეტი დრო შემდეგ სუბიექტებს დაეთმოთ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (26%), კოალიცია ქართული ოცნება (22%), მთავრობა (18%) და პრემიერმინისტრი (16%). მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით შემცირდა დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები. გამონაკლისია პრემიერმინისტრი, რომლისთვისაც დათმობილი დროის 41% დადებითი ტონი იყო¹. მთავრობისთვის დადებითი ტონი 17%-ს შეადგენდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (7%) და კოალიცია ქართული ოცნებისთვის (9%) ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კოალიცია ქართულ ოცნებას ჰქონდა (16%), ყველაზე დაბალი კი პრემიერმინისტრს (5%).

¹ეს გამოწვეულია ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დროს მის მიერ გაკეთებული დადებითი შეფასებებით.



16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში იმედის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე ხშირად თბილისის მერობის კანდიდატები გაშუქდნენ. მთლიანობაში მათ 17 წუთი დაეთმოთ. ყველაზე ხშირად დავით ნარმანია (34%) და ნიკა მელია (28%) შუქდებოდნენ. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნიკა მელიას (38%), ხოლო უარყოფითი ტონის დავით ნარმანიას (10%) აქვს.




მაესტრო

15 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში მაესტროს ეთერში გასული საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები დაბალანსებული იყო. სიუჟეტები ზომიერად კრიტიკული და მომთხოვნი იყო როგორც ხელისუფლების, აგრეთვე ოპოზიციის მიმართ.


ვრცელი საინფორმაციო გამოშვებამიემდენაარჩვენების დღეს, რომელშიც ძირითადი აქცენტი თბილისზე გაკეთდა. სათითაოდ იყო წარმოდგენილი თბილისის მერობის კანდიდატების და მათი პარტიების ოფისები და კომენტარები. მაყურებელს მიეცა საშუალება გაცნობოდა როგორც რუსთავი 2-ის, აგრეთვე იმედის დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლების შედეგებს. გაშუქდა სხვადასხვა პარტიების კომენტარები ეგზიტპოლების შედეგებთან და დაფიქსირებულ ხარვეზებთანდაკავშირებით. ასევე მომზადდა რამდენიმე ანალიტიკური სიუჟეტი დამოუკიდებელ საქართველოში არჩევნების ისტორიისა დათვითმმართველობის არსის, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მნიშვნელოვანი დრო დაეთმო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების დოკუმენტს. 27 ივნისს დეტალურად განიხილეს საქართველოსა და ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობები, ნაჩვენები იყო პოლიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებები აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით.

მაესტროზე ყველაზე ხშირად გაშუქებულ სუბიექტებს შორის იყვნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (27%), კოალიცია ქართული ოცნება (26%) და მთავრობა (24%). ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის დადებითი ტონის მაჩვენებელი იყო 4%, ხოლო კოალიცია ქართული ოცნებისა და მთავრობისთვის 11%-11%. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე ხშირად გაშუქებულ სუბიექტებს შორის ის დაახლოებით თანაბარი იყო და 6-9% შორის მერყობდა. საკმაოდ მაღალი დადებითი ტონის წილი პრემიერმინისტრს დაუფიქსირდა - 48 პროცენტი, რაც უმეტესად ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს მისი კომენტარებით აიხსნება.



16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით ყველაზე ხშირად თბილისის მერობის კანდიდატები გაშუქდნენ, მთლიანობაში კანდიდატებს 11 წუთი დაეთმო. მათ შორის ყველაზე მეტი დრო დავით ნარმანიას (42%) და ნიკა მელიას (29%) დაეთმო. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნიკა მელიას აქვს - 46%. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ეს მხოლოდ დავით ნარმანიას შემთხვევაში დაფიქსირდა - 13%.




კავკასია


15 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში კავკასიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ნეიტრალური და ინფორმაციული იყო. თუმცა, სიუჟეტების უმრავლესობა გამოირჩეოდა მშრალი ფაქტების გადმოცემით და არ შეინიშნებოდა ანალიტიკური ტიპის სიუჟეტების გაშუქება.

არჩევნების შემდგომ პერიოდში აქტიურად შუქდებოდა ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული შეფასებები არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით. აგრეთვე არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევებიდა მეორე ტურის დანიშვნის შესაძლებლობა. მშრალად გაშუქდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც პოლიტიკოსების მოკლე შეფასებებით შემოიფარგლა. ნაჩვენები იყო ძირითადად მმართველი გუნდის და ექსპერტების კომენტარები. კვლავ შესამჩნევი იყო ტექნიკური ხარვეზები და ხშირად სიუჟეტებში წარმოდგენილ რესპონდენტებს არ ჰქონდათ მითითებული სახელი და გვარი.

დათმობილი დროის მიხედვით პირველი ადგილები მთავრობამ (32%) და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (27%) დაიკავა. მათ მოსდევთ კოალიცია ქართული ოცნება (19%) და პრემიერმინისტრი (9%). მათ შორის ყველაზე მაღალი ტონი პრემიერმინისტრს აქვს - 46%, შედარებით მაღალია მთავრობის დადებითად გაშუქების მაჩვენებელიც - 17%. რაც შეეხება უარყოფით ტონს, ის ყველაზე დაბალი პრემიერმინისტრს დაუფიქსირდა (3%), ხოლო დანარჩენი სამი სუბიექტისთვის თითქმის თანაბარი იყო და 8-11% შორის მერყეობდა.



16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში კავკასიის საინფორმაციო სიუჟეტებში ყველაზე ხშირად თბილისის მერობის კანდიდატები გაშუქდნენ - მთლიანობაში 16 წუთი. მათ შორის ყველაზე ხშირად დავით ნარმანია გაშუქდა (40%), ხოლო დარჩენილი დრო სხვა კანდიდატებზე თითქმის თანაბრად გადანაწილდა. რაც შეეხება დათმობილ დროს ტონის მიხედვით, დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (50%) დავით ნარმანიას დაუფიქსირდა. მასვე ჰქონდა უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 4%.




ტვ3

15 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით ტვ3-ის ეთერში გასულ საინფორმაციო გამოშვებებში აქტუალური თემები ოპერატიულად შუქდებოდა, მზადდებოდა ანალიტიკური სიუჟეტები. სიუჟეტებში კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობოდა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიმართ.


არჩევნების დღეს, 15 ივნისს საინფორმაციო გამოშვება მთლიანად მიეძღვნა არჩევნების მიმდინარეობას. ნაჩვენები იყო სხვადასხვა რეგიონში არჩევნების პროცესი. მაყურებელს გააცნეს ეგზიტპოლების შედეგები. რაც შეეხება არჩევნების შემდეგ პერიოდს, ტვ3-ის სიუჟეტებში გამახვილებული იყო ყურადღება მომხდარ დარღვევებზე. ზოგიერთ სიუჟეტში უარყოფითად იყვნენ წარმოჩენილი კოალიცია ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებიც ადანაშაულებდნენ ერთმანეთს არჩევნების გაყალბებაში.

მონიტორინგის მოცემულ მონაკვეთში დიდი დრო დაეთმო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. 27 ივნისს განიხილეს ხელშეკრულების შინაარსი, ნაჩვენები იყო ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა დაპოლიტიკოსების და ექსპერტების შეფასებები.

რაც შეეხება სუბიექტების გაშუქებას, ყველაზე მეტი დრო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (28%), მთავრობას (22%), კოალიცია ქართულ ოცნებას (22%) და პრემიერმინისტრს (16%) დაეთმო. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერმინისტრს დაუფიქსირდა - 63%, რაც გამოწვეული იყო მისი პირდაპირი საუბრით ასოცირების ხელშეკრულებისა და არჩევნების შედეგებზე. დადებითი ტონის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს - 5%. უარყოფითი ტონის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აქვთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და კოალიცია ქართულ ოცნებას - 17%-17%, ყველაზე დაბალი კი პრემიერმინისტრს - 3%.



მონიტორინგის 16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით მონაკვეთში ტვ3-ის ეთერში ყველაზე მეტად თბილისის მერობის კანდიდატები გაშუქდნენ, მთლიანობაში მათ 7 წუთი დაეთმო. მოცემული დროის უმეტესობა ორ კანდიდატს, დავით ნარმანიასა და ნიკა მელიას დაეთმო. აღსანიშნავია, რომ ნიკა მელიასთვის დათმობილი დრო 100% ნეიტრალური იყო. დავით ნარმანიასთვის დათმობილი დროის 3% დადებითი, ხოლო 35% უარყოფითი ტონით იყო გაშუქებული.



დასკვნა

15-დან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში სატელევიზიო არხებზე ძირითადი აქცენტი არჩევნების დღესა და მის შედეგებზე კეთდებოდა. 15 ივნისს ყველა არხზე დეტალურად და ვრცლად გაშუქდა არჩევნების პროცესის მიმდინარეობა, ეგზიტპოლების შედეგები, პოლიტიკოსების და ექსპერტების შეფასებები. 16 ივნისიდან კი ძირითადი თემა ქვეყნის რამდენიმე ქალაქში შესაძლო მეორე ტური იყო. ამ ფონზე აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდებთან შედარებით საკმაოდ იკლო კანდიდატების გაშუქებამ, მათ არჩევნების შემდეგ საკმაოდ ცოტა დრო დაეთმო.

ამ პერიოდში ასევე საკმაოდ აქტიურად და დეტალურად შუქდებოდა ასოცირების ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული აქტივობები. ყველა არხის საინფორმაციო გამოშვებებში ნაჩვენებია იყო მთავრობის, პოლიტიკური პარტიების და არჩევნებში მონაწილე კანდიდატების კომენტარები და შეფასებები. არხების უმეტესობაზე მომზადდა ანალიტიკური და ინფორმაციული სიუჟეტები, სადაც კარგად იყო განმარტებული, თუ რას შეიცავს ეს დოკუმენტი, რატომ არის მნიშვნელოვანი და რა ცვლილებები შეიძლება მოიტანოს ქვეყნისთვის. ამასთან არის დაკავშირებული პრემიერმინისტრის საკმაოდ მაღალი დადებითი ტონის წილი თითქმის ყველა არხზე, რაც მისი ინტერვიუებით და დადებითი შეფასებებით არის გამოწვეული. მონიტორინგის პერიოდში არ გამოკვეთილა ჟურნალისტური სტანდარტების ან ეთიკის ნორმების რაიმე განსაკუთრებული დარღვევა.